პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
14
მარტი
№ 61
(16187)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

თუ შენ ხარ კომუნისტი, შენი რესპუბლიკის მოქალაქე, და სიტყვით კი არა, საქმით გიყვარს შენი ხალხი, შენი ქვეყანა, შენს უპირველეს მოვალეობად უნდა მიგაჩნდეს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა, უნდა მუშაობდე ძალღონის დაუზოგავად.

კომუნისტურ შაბათობაზე!

19 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

ხუთწლედის ფონდში

თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა დამკვიდრებული შრომით აღნიშნოს კომუნისტური შაბათობა.

19 აპრილს შრომის დღესასწაულზე გამოვა საწარმოს ორი ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

ფაბრიკის დაზგებზე ამ დღეს პირველად დაამზადებენ ბავშვის ჯინსებსა და კურტაკებს, ხარისხის სახელმწიფო ნიშნიან ქალის ბლუზებს. სულ კი კომუნისტური შაბათობის დღეს დაამზადებენ 70 ათასი მანეთის პროდუქციას, აქედან ნახევარზე მეტს — დაზოგილი მასალებით.

„წითელი შაბათობა“ გვიხმობს

თბილისი სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მშრომელებმა გადაწყვიტეს კომუნისტური შაბათობა გახადონ უმაღლესი შრომის ნაყოფიერების დღედ.

ფეიერბა კისრულობენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს, რათა 19 აპრილს იმუშაონ გაორკეცებული ენერგიით, გამოუშვან მეჩი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით. მაგალითად, მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც დ. ჯიქია ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა მთელი პროდუქცია დაზოგილი მასალებით გამოუშვას.

ერთსულოვნად

ქუთაისი. ელექტრომექანიკურ ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა გადაწყვიტეს 19 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა.

ელექტრომანქანების საამქროს ხარატმა გ. გონგაძემ, საამწყობო-მექანიკური საამქროს მხეხავმა რ. ოსეფაშვილმა და სხვებმა მიტინგზე თავიანთი კოლექტივების სახელით განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მაღალნაყოფიერად იშრომონ შაბათობაზე. ამ დღეს გამოუშვებენ 35 ათასი მანეთის პროდუქციას.

კომუნისტურ შაბათობაზე გამოვლენ ქუთაისის საავტომობილო, ტრაქტორო, ლითოფონის ქარხნების და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

ქუთაისი მაუდის ფაბრიკა საბჭოთა საქართველომ რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მითითებით რუსეთიდან ჩუქრად მიიღო. მას შემდეგ მოყოლებული ფაბრიკის კოლექტივი დღენიადაგ იბრძვის საკუთარი საწარმოო მარკის ღირსების განმტკიცებისათვის და დამკვრელური შრომის მაგალითს გვიჩვენებს.

ასეა ამ დღეებშიც, როცა მემაუდეებმა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება იზეიმეს და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა პასუხად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ამ სურათზე ასახულმა კომკავშირელებმა, რომლებიც მომჭირნედ და ყაირათიანად შრომობენ, დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

სურათზე: ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საჩეჩი საამქროს სართავი უბნის მოწინავე მრთველები (მარცხნიდან): ქ. ნიფარაძე, მ. ბურჯალიანი და ტ. ბუხრაშვილი.

ა. ჩარკვიანის ფოტო.

კოლექტივი აღმზრდელია

„ჩვენ დინამოელები ვართ!“, „ჩვენ კიროველები ვართ!“, „ჩვენ არსენალელები ვართ!“. ამაყად ეღერს სახელგანთქმული საწარმოო კოლექტივების წარმომადგენელთა ეს სიტყვები. ნაკლები სიამაყით როდი ლაპარაკობენ თავიანთი ამხანაგების წარმატებებზე ათასობით სხვა საწარმოს, ბრიგადის, რგოლის მუშაკებიც. დიდი თუ პატარა შრომლიური კოლექტივისადმი სიყვარულის გრძნობა ორგანულად დამახასიათებელია საბჭოთა მშრომელებისათვის.

შრომითს კოლექტივებს სამართლიანად უწოდებენ სოციალისტური საზოგადოების ძირითად უჯრედებს. სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ აქ ადამიანთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ასპარეზია გადაშლილი, აქ ყალიბდება მშრომელთა ახალი, სოციალისტური თვისებები, მეგობრობისა და ამხანაგური დახმარების ურთიერთობა.

კომუნისტური მშენებლობის მასშტაბის გაფართოების, ამოცანების გართულების კვალობაზე სულ უფრო იზრდება კოლექტივის როლიც. სწორედ მას უნდა ეყრდნობოდეს თვითეული პარტიული ორგანიზაცია ყველა საწარმოო და აღმზრდელობითი ამოცანის გადაწყვეტის დროს. ეს ახალი ძალაა არის ხაზგასმული ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, თუ რაოდენ საჭიროა „მიაღწიონ, რომ თვითეული შრომითი კოლექტივი იყოს დიდი პოლიტიკური შეგნებულობის, შრომის სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის მქონე, შეურიგებლად — იბრძოდეს ბომბვეშელობის, ლოთობის, ხულიგნობის გამოვლინებათა და სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელის წინააღმდეგ“.

ადამიანის იდეური, სულიერი ზრდა ბევრად არის დამოკიდებული მორალურ კლიმატზე, საერთო ატმოსფეროზე, რომელშიც იგი შრომობს. სულ უფრო ღრმა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს საწარმოს მუშაკებზე, მაგალითად, მინსკის სტრაქტორო ქარხნის კოლექტივი. ქარხანაში მისვლისთანავე ახალგაზრდები გრძნობენ საერთო ნდობას, კეთილმოსურნეობას, თავიანთი პროფესიული და კულტურული ზრდისათვის ზრუნვას. სოციალისტური შეჯიბრება აქ ამხანაგობის, ურთიერთდახმარების, ნამდვილი კოლექტივიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობისა და მისი წევრებისათვის კოლექტივის პასუხისმგებლობის პრინციპი უდევს საფუძვლად შრომისა და დისციპლინისადმი შეგნებული, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ჩანერგვას. აქ საზოგადოებრივი აზრის ძალა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მეტად საჭიროა, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, „შევქმნათ ხელთ ატმოსფერო, ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომ თვითეულ საწარმოში, თვითეულ კოლექტივში კარგად იცოდნენ, თუ ვინ

ПРАВДА

13 მარტის მოწინავე

და როგორ მუშაობს, და თვითეულს დამსახურებისამებრ ვაფასებდეთ. ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კარგი შრომა და ღირსეული ქცევა კოლექტივში ყოველთვის აღიარებული და დაფასებული იქნება, ამხანაგების პატივისცემასა და მადლობას დაიმსახურებს. და ასევე თვითეულმა უნდა იცოდეს, რომ გამცდენებსა და მუქთახორებს, ფრენიებსა და წუნის მკეთებლებს არ ექნებათ არავითარი შეღავათი და შეწყალება და ვერაფერი ვერ იხსნის მათ ამხანაგების რისხვისაგან“.

მაგრამ ჯერჯერობით გვხვდება ფაქტები, როცა დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს ძირითადად ახორციელებს ადმინისტრაცია, კოლექტივი კი თითქოსდა განზეა გამდგარი. კუიბიშევის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სევერნი კლუჩში“, მაგალითად, დისციპლინის დარღვევისა და ანტისაზოგადოებრივი საქციელისათვის დირექტორის ბრძანებით სამას კაცზე მეტი დასჯეს, ამხანაგურ სასამართლოებში კი ამ დროის მანძილზე ოცდაათზე ნაკლები საქმე განიხილეს. პრაქტიკა მოწმობს: აღზრდის მიზნებს უფრო წარმატებით მივაღწევთ, თუ წახალისების ან დაგმობის ძირითადი საშუალება გახდება საზოგადოებრივობის გადამწყვეტი სიტყვა. მაგალითად, დონეცკის, „ტრუდოვსკაიას“ შახტში წახალისებისა და დასჯის ღონისძიებებს ბევრად განსაზღვრავს მუშათა კრებები. ეს კრებები აქტიურად უწყობს ხელს დისციპლინის განმტკიცებას ვორონეჟის მძიმე მექანიკური წნეხების ქარხანაში. საქმის ინტერესები მოითხოვს ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ მუშათა კრებების, საწარმოო თათბირების, მშრომელთა საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ფორმების აღმზრდელობითი როლი და ქმედითობა.

მეშშარიტად სპეტაკი მორალურ-პოლიტიკური თვისებების ჩამოყალიბების დიდებული წყაროა ქარხნის, კოლმეურნეობისა თუ დაწესებულების საუკეთესო ტრადიციები. საწარმო, რომელსაც მდიდარი წარსული აქვს, ინდუსტრიის გიგანტი იქნება ეს თუ პატარა ფაბრიკა, შრომითი წრთობის ნამდვილი სკოლაა. სავსებით გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას თაობათა მემკვიდრეობასთვის, მუშათა ცვლის ჩამოყალიბებისათვის.

შრომითი კოლექტივის გავლენა არ შეიძლება შეიზღუდოს წარმოების ფარგლებით. კერძოსაკუთრული ფსიქოლოგიის, ლოთობის, ხულიგნობის, სოციალიზმისათვის სხვა უცხო გამოვლინებათა რეციდივებს წინააღმდეგ ბრძოლა მშრომელთა კოლექტიურ მეცადინეობას, მთელი საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. ეს იყო და არის ყოფა-ცხოვრებაში მშრომელთა აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. როცა კოლექტივი საკმაოდ ორგანიზებული, შეკავშირებული, აქტიურია, მართლაც რომ უფრთხილდება თავის ღირსებასა და ავტორიტეტს, ადამიანი მუდამ იქნება მისი მორალური ზემოქმედების სფეროში.

ყოველი კოლექტივის სული და გული და მთავარი იდეური ძალა კომუნისტები არიან. პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა მასობრივ ორგანიზაციებთან ერთად მათ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ მშრომელთა აღზრდისათვის. 1975 წლის — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანათა წარმატებით გადასაწყვეტად მათი დარაზმვისათვის. კოლექტივის საწარმოო საქმიანობასა და მორალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენენ ოსტატები, ბრიგადირები, მერგოლურები. რომლებიც ყველაზე ახლოს არიან დაკავშირებული ადამიანთა შრომასა და ყოფა-ცხოვრებასთან. ამ კატეგორიის მუშაკებს ეისრებათ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი წარმოებაში ურთიერთდახმარებისა და მომთხოვნელობის ვითარების შექმნაში.

წარმართავენ რა შრომითი კოლექტივების საქმიანობას, პარტიულმა ორგანიზაციებმა საფუძვლიანად უნდა შეიმუშაონ მისი სრულყოფის გზები და მეთოდები. უფრო სრულად გამოიყენონ სოციალური განვითარების დაგეგმვა მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებისათვის. საქმის წარმატებას ბევრად უწყობს ხელს შრომითს კოლექტივებში აღზრდის გამოცდილების ანალიზი და განზოგადება. ბევრი რამ საყურადღებო მოუტანა ასეთმა მუშაობამ რიგის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას, რამაც მას საშუალება მისცა ბევრ საწარმოში არსებითად გაეუმჯობესებინა კადრების აღზრდის პრაქტიკა.

შრომითი კოლექტივების. სოციალისტური დემოკრატიის სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლების როლის ამაღლებისათვის ზრუნვა — ეს არის ზრუნვა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მათი, როგორც შეგნებული კოლექტივისტების, საზოგადოებრივ საქმეთა მართვის აქტიური მონაწილეების აღზრდისათვის, ეს არის ზრუნვა ახალი საზოგადოების მშენებლობაში საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის.

მიფრინავს „კოსმოს-719“

1975 წლის 12 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-719“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციებს.

მათ თავი ისახელეს



200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გეგმის გადამეტებით!

ვითარება მოითხოვს, რომ ყოველი ჩვენი მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენციის წარმომადგენელი, თვითეული მოქალაქე გახდეს ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის შეგნებული, მტკიცე, თავდადებული მებრძოლი.

ხუთწლედის დამლევამდე **292** დღე დარჩა

ყოველი დღე, ყოველი საათი — დამკვრელური!

სოციალისტური შეჯიბრების დევიზი: მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

დამამთავრებელი წლის კალენდარი

საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება გრძელდება

13 მარტს მოლაპარაკებას განაგრძობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურპო კაექვა კეკონენი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა კონსტრუქციული აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. (საკვლევი).

ვერნერ ლამბერცი თბილისში

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვერნერ ლამბერცი, რომელიც თბილისში იმყოფება, 13 მარტს ეცნობოდა საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას.

გულთბილად შეხვდნენ ვ. ლამბერცს სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისმა რექტორმა პროფესორმა დ. ჩხეიძეშვილმა სტუმარს გააცნო რესპუბლიკის 19-დან ამ ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ისტორია, უამბო, თუ როგორ არის დაყენებული სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა, რა ნაყოფს იღებს თბილისისა და იენის უნივერსიტეტების მჭიდრო თანამეგობრობა.

ვ. ლამბერცმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორი უნივერსიტეტის კონტაქტებს მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის. საქართველოს სსრ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

ვ. ლამბერცმა დაათვალიერა ლენინის რაიონის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები. ქალაქის ამ სამრეწველო რაიონის კომუნისტთა, მშრომელთა სახელით მას გულთბილად მიესალმა პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ალავიძე.

სტუმარი ეწვია კონიაკის ქარხანას, რომლის წარმოების მუშაკები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების კოლექტიური წევრები არიან. ქარხნის დირექტორმა ო. რობაქიძემ სტუმარს გააცნო საწარმო, აცნობა, რომ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიჭებული თორმეტივე სახეობის პროდუქციას, რომელსაც ქარხანა უშვებს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო ოგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში. მან დაათვალიერა სექცია — „ჯაჭვის, აპარატების, ელექტრომანქანების და სხვა საამქროები. დაინტერესდა წარმოების ორგანიზაციით, პარტიული მუშაობით, კომუნისტების, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების აქტიური მონაწილეების ავანგარდული როლით. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანი დ. ღაღანიძე და მთავარი ინჟინერი ზ. ჩივაძე.

საწარმოს საამქროებში ვ. ლამბერცი ესაუბრა მუშებსა და სპეციალისტებს. განსაკუთრებით გულთბილი იყო საუბარი ელმავალსაწყობის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელებთან, კომუნისტებთან — ლენინის ორდენოსან ი. გელაშვილთან, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსან ვ. მაცაბერიძესთან და ვ. კანდიაშვილთან. ისინი ესაუბრნენ თავიანთ შრომითს საქმეებზე, საწარმოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. სთხოვეს ამხანაგური სალამი გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს ელმავალმშენებელთა სახელით.

თავის მხრივ ვ. ლამბერცმა თამბო მათ იმ ძირითო გარიჟრაჟზე, რომლებიც გერმანიის მიწა-წყალზე მოხდა სახალხო ხელისუფლების წლებში.

ამავე დღეს, საღამოს, გაიმართა ვ. ლამბერცის შეხვედრა საქართველოს საზოგარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის წევრებთან და აქტივისტებთან.

სტამბარს მიისალმა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და ფინეთის ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე.

საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სულ უფრო მტკიცე და განვითარებადი ურთიერთობის შესახებ ილაპარაკეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების წევრებმა, თბილისის უნივერსიტეტის გერმანული ენის კათედრის გამგემ ზ. ჭარხალაშვილმა და ვალამარში გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ქართული განყოფილების გამგეობის წევრმა ნ. კაკაბაძემ.

სიტყვებს „გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას“, ხაზი გაუსვა თავის გამოსვლაში ვ. ლამბერცმა. ღრმა ალბი აქვთ, ისინი ნიშნავენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის მარად იქნება ორგვარი მეგობრობა და უმშიდროესი თანამშრომლობა. რომ ისინი მუდამ მხარადმხარ იბრძოლებენ მშვიდობის განმტკიცებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმისათვის.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ბეროინიშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კიკვაძე. (საქინფორმი).

სურათზე: (მარცხნიდან) — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები ი. გელაშვილი, ვ. მაცაბერიძე, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ლამბერცი და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი კ. კანდიაშვილი.

შ. პრინსპის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

საბჭოთა კავშირ-ამერიკის სემინარი

ტაშკენტი, 12 მარტი. (საკვლევი). 1966 წლის მიწისძვრის შედეგად დანგრეულ ძველ სახლებში 2,3 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად უზბეკეთის დედაქალაქის მცხოვრებლებმა თითქმის ოთხჯერ მეტი ფართობი მიიღეს, ამასთან ისეთ შენობებში, რომლებსაც 9-ბალიანი ბიძგიც კი ვერას დააკლებს. ეს მონაცემები მოიყვანეს დღეს ტაშკენტში გახსნილ საბჭოთა კავშირ-ამერიკის სემინარზე „დაპროექტება და მშენებლობა სეისმურ ზონებში“, რომელიც მიეწყო 1974-1976 წლებში კონტაქტების, გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთო შეთანხმების შესაბამისად.

ორი ქვეყნის 40-მდე სპეციალისტი ერთმანეთს გაუზიარებს დაპროექტებისა და სეისმომედეგი მშენებლობის და მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის დარგში კვლევის გამოცდილებას. ამერიკელი მეცნიერები და ინჟინრები ეწვევიან ტაშკენტის სამშენებლო მოედნებს, გაეცნობიან რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. სემინარი 15 მარტამდე გასტანს.

ყველაზე აღმოსავლეთი აეროვაგზალი

ანადირი (ჩუკოტკის ეროვნული ოკრუგი). აქ გაიხსნა ახალი აეროვაგზლის „კომპლექსი. მის შენობაში მდებარობს 310-ადგილიანი სასტუმრო, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო საწარმოები.

ქვეყნის ყველაზე აღმოსავლეთი აეროვაგზლის საბილეთო სალაროებმა პირველმა გაუწიეს მომსახურება მოსკოვში მიმავალ მგზავრებს. მათ გადაეცეს სამახსოვრო სუვენირები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1975 წლის 12 მარტს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოში ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი

კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავი

საქართველოს	საქართველოს სსრ	საქართველოს
კომპარტიის	უმაღლესი	სსრ
ცენტრალური	საბჭოს	მინისტრთა
კომიტეტი	პრეზიდიუმი	საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის კ. დ. ერისთავის დაკრძალვის მოსაწყობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ: ამხანაგები ი. ზედგინიძე (თავმჯდომარე), ო. ღუდუშაური, ს. დურმიშიძე, გ. ოსელიანი, რ. კვიკვინაძე, დ. ქიტაიშვილი, მ. კომახიძე, მ. საბაშვილი და შ. თითბერიძე.

კ. დ. ერისთავის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

აქტივზე დაყრდნობით

ტაიბულქვანახშირის ლენინის სახელობის შახტის კონტროლიორებმა მიღწევებზე გაამოწვიეს ბრიგადები, გამოავლინეს დანაკლისიცა და მეთოდიც. ეს საკითხი პარტიულმა კომიტეტმა განიხილა, რის შედეგადაც მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა.

ამ წერილში მინდა ორიოდე მაგალითით ცხადყოფ ის, თუ როგორ ზრუნავენ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები საერთო წარმატების მოსაპოვებლად. ოვენს შახტში 32 ჯგუფი და საგუშაგო, რომლებშიც 175 კაცია გაერთიანებული.

უდაო ჭეშმარიტებაა, რომ საწარმოს გამართული მუშაობა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებაშია დამოკიდებული. ეს საქმე შახტის სახალხო კონტროლიორების მუდმივი საზრუნავია. ჩვენი კონტროლიორები სამუშაო ადგილზე დაკვირვებების შედეგად აანალიზებენ სამუშაო დროის მოცდენის მიზეზებს და სახავენ ღონისძიებებს მათს აღმოსაფხვრელად. ამ მუშაობაზე მეტყველებს ასეთი მონაცემები: 1973 წელს შიდა ცვლის მოცდენების კაცსაათებმა რიცხვმა 593 შეადგინა, კონტროლიორთა მიერ ენერგიული ღონისძიებების გატარების შედეგად ეს რიცხვი 1974 წელს 400-მდე შემცირდა. რა თქმა უნდა, ეს იგი დიდი. ამიტომ წლეულს თავიდანვე შევუდექით მუშაობას ასეთი მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

ქვანახშირის ხარისხის საკითხი სახალხო კონტროლის ჯგუფმა რამდენიმეჯერ განიხილა. საჭიროების შემთხვევაში იგი შახტის პარტიული კომიტეტის სხდომაზე გიტანია. ხოლო სახალხო კონტროლის ჯგუფთან არსებულმა ხარისხის კონტროლიორ სეტერორმა ეს თემა პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახადა. გატარებულმა ღონისძიებებმა, — ფუჭი ქანის სამუშაო ადგილზე გადარჩვა, ბურღვა-აფეთქების პასპორტის დაცვა, ქვანახშირის ტრანსპორტირებისათვის წყლის გამოყენების შემცირებამ და ა. შ. — მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რაც იქიდან ჩანს, რომ მაღალფაცრიანი ნახშირის მიწოდებისათვის 1974 წელს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მიერ შახტს მოეხსნა 25926 ტონა ქვანახშირი, ხოლო დიდი ნეტაანობისათვის 219905 მანეთით დაჯარიმდა.

სახალხო კონტროლიორთა ღვიძლი საქმეა სახელმწიფოს ქონების დაცვისათვის ბრძოლა. მასზე კონტროლი კი სწორი ადრიცხვის მოუწესრიგებლობამ ეს შახტის პარტიული კომიტეტის სხდომაზე გიტანია. ხოლო სახალხო კონტროლის ჯგუფთან არსებულმა ხარისხის კონტროლიორ სეტერომ ეს თემა პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახადა. გატარებულმა ღონისძიებებმა, — ფუჭი ქანის სამუშაო ადგილზე გადარჩვა, ბურღვა-აფეთქების პასპორტის დაცვა, ქვანახშირის ტრანსპორტირებისათვის წყლის გამოყენების შემცირებამ და ა. შ. — მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რაც იქიდან ჩანს, რომ მაღალფაცრიანი ნახშირის მიწოდებისათვის 1974 წელს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მიერ შახტს მოეხსნა 25926 ტონა ქვანახშირი, ხოლო დიდი ნეტაანობისათვის 219905 მანეთით დაჯარიმდა.

სახალხო კონტროლიორთა ჯგუფს მიმოწერა აქვს სხვა დაწესებულებათა სახალხო კონტროლის ჯგუფებთან. მაგალითად, ქვანახშირის გამამდიდრებელი ცენტრალური ფაბრიკიდან მივიღეთ წერილი, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ ჩვენს შახტში ამ მხრივ არ იყო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ადგილზე ფაქტიურად არსებული მექანიზმების საბუღალტრო მონაცემებთან შედარება დიდ სხვაობას იძლეოდა. სათავო სახალხო კონტროლის ჯგუფმა უბნებისა და საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფებთან ერთად რამოდენიმეჯერ მოაწყო უბნების მისვლითი მიწისქვეშა გამონამუშევრებში არსებული მექანიზმების აღწერა. გამოვლინდა რა, გორც დანაკლისი, ისე მეტობა. საკითხი გავიტანეთ პარტიული კომიტეტის სხდომაზე, რითაც აღრიცხვის საქმეში ძირეულ გაუმჯობესებას მივაღწიეთ.

მესამე და მეხუთე უბნებისათვის ახალი ველების მომზადების ნელი ტემპის გამო საფრთხე ექმნებოდა სამუშაო ფრონტს. სახალხო კონტროლის ჯგუფმა შეისწავლა მეხუთე და ოცდამესამე ველების მომზადების დაჩქარების შესაძლებლობა, შეადგინა სამთო გამონამუშევრების გაყვანის გრაფიკი, საკითხი განსახილველად გაიტანა პარტიული კომიტეტის სხდომაზე. მიღებული დადგენილების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების შედეგად ახალი ველები დროულად იქნა მომზადებული.

სახალხო კონტროლის ჯგუფმა შეისწავლა და განიხილა საწარმოო საკითხები — მიწისქვეშა გამონამუშევრებში ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, ჰიდრავლიური ვსების ნახშირის მოპოვების ველმის შესრულება, უსაფრთხოების წესების დაცვა და სხვ.

შახტის სახალხო კონტროლის ჯგუფს მიმოწერა აქვს სხვა დაწესებულებათა სახალხო კონტროლის ჯგუფებთან. მაგალითად, ქვანახშირის გამამდიდრებელი ცენტრალური ფაბრიკიდან მივიღეთ წერილი, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ ჩვენს შახტში ამ მხრივ არ იყო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ადგილზე ფაქტიურად არსებული მექანიზმების საბუღალტრო მონაცემებთან შედარება დიდ სხვაობას იძლეოდა. სათავო სახალხო კონტროლის ჯგუფის უბნებისა და საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფებთან ერთად რამოდენიმეჯერ მოაწყო უბნების მისვლითი მიწისქვეშა გამონამუშევრებში არსებული მექანიზმების აღწერა. გამოვლინდა რა, გორც დანაკლისი, ისე მეტობა. საკითხი გავიტანეთ პარტიული კომიტეტის სხდომაზე, რითაც აღრიცხვის საქმეში ძირეულ გაუმჯობესებას მივაღწიეთ.

მესამე და მეხუთე უბნებისათვის ახალი ველების მომზადების ნელი ტემპის გამო საფრთხე ექმნებოდა სამუშაო ფრონტს. სახალხო კონტროლის ჯგუფმა შეისწავლა მეხუთე და ოცდამესამე ველების მომზადების

ROCA საქმეს პარტიული ორგანიზაცია წარმართავს

ბურღვა-აფეთქების პასპორტის დაცვა, ქვანახშირის ტრანსპორტირებისათვის წყლის გამოყენების შემცირებამ და ა. შ. — მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რაც იქიდან ჩანს, რომ მაღალფაცრიანი ნახშირის მიწოდებისათვის 1974 წელს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მიერ შახტს მოეხსნა 25926 ტონა ქვანახშირი, ხოლო დიდი ნეტაანობისათვის 219905 მანეთით დაჯარიმდა.

სახალხო კონტროლიორთა ღვიძლი საქმეა სახელმწიფოს ქონების დაცვისათვის ბრძოლა. მასზე კონტროლი კი სწორი ადრიცხვის მოუწესრიგებლობამ ეს შახტის პარტიული კომიტეტის სხდომაზე გიტანია. ხოლო სახალხო კონტროლის ჯგუფთან არსებულმა ხარისხის კონტროლიორ სეტერომ ეს თემა პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახადა. გატარებულმა ღონისძიებებმა, — ფუჭი ქანის სამუშაო ადგილზე გადარჩვა,

ხაკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისის საქალაქო კომიტეტს, ქალაქის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სახალხო კონტროლის, სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს მოსთხოვა განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი სოციალისტური საკუთრების დაცვაზე, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობორტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. ბიჯითი კოლიტიკური მუშაობა გასწიონ კერძო მესაკუთრული გადმონაშთებისა და სხვა უარყოფითი მოვლენების დაძლევისათვის, ყოველი ღონისძიებით ჩაუნერგონ ადამიანებს შეურიგებელი დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო შეხედულებებისა და ქცევისადმი. აამაღლონ ზრდილი კოლექტივების როლი წარსულის გადმონაშთების, მართლმესარიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სკკპ XXIV კრების ბრძოლა ბალანსებისა და შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

მივლინება მკითხველის თხოვნით

ეს რა მომსახურეობაა?

რედაქციაში წერილს მოვიდა მისი ავტორი, ბოლნისში მცხოვრები ვ. სიკინჭილაშვილი წერს:

„სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ, ავარიულ მდგომარეობაში იყო. მისი შეკეთება ვთხოვე ბოლნისის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს. დამეთანხმნენ, შექმნეს კომისია, და სამმართველოს უფროსმა ინეინერმა ვ. ბოკოვმა გამოფორმა კიდეც ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად მოლიანად უნდა გამოეცვალათ სახლის სახურავი, აგრეთვე გაეკეთებინათ აივანი“...

და თუ რა მოხდა შემდეგ დამკვეთისა და შემსრულებელს შორის, ამის შესახებ მოგვითხრობს ეს წერილი.

1973 წლის 29 ივნისს თარიღით არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ბოლოში აღნიშნულია: მუშაობის დაწყების დრო — 1973 წლის 1 აგვისტო, დამთავრებისა — 30 აგვისტო. მკითხველი იოლად მიხვდება, რომ სახლის რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებული ვადა ერთი თვეა. სამწუხაროდ, უკვე წელიწადხანგრძლივობა მეტია გასული და სამმუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობენ. თუმცა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო თვლის, რომ იგი პირნათლად გამოიყურება დამკვეთის წინაშე, და დაგინებით მოითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას.

ჯერ ისაა, რომ ხელშეკრულების ვადა დაირღვა (მსგავსი ფაქტები კი უამრავია საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ძველი ხელმძღვანელების ირადღამაკმაყოფილებელი მუშაობის პერიოდში), სამუშაოები ჩატარდა არასრულად და უხარისხოდ. ყოველივე ამის თაობაზე მოქალაქე ვ. სიკინჭილაშვილმა საჩივარი შეიტანა სამინისტროში. საკითხის შესწავლა დაევალათ სამინისტროს იხდივიდუალური ბინათმოკეთების განყოფილებისა ხელმძღვანელებს. შემოწმებით დადგინდა, რომ მომჩივანი მართალია და ბოლნისის სამმართველოს წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ გაესწორებინა დეფექტები.

რა დეფექტები ჰქონდა მხედველობაში სამინისტროს წარმომადგენელს? მოსახსნელი და ხელმეორედ გასაკეთებელი იყო სახურავი, რადგანაც ფიქალი, რომელითაც გადახურულია სახლი, სრულიად უვარგისია. დარღვეულია ტექნიკური რეჟიმი და უსაფრთხოების თვალსაზრისით მოლიანად უიმედოდ არის დატოვებული ნაგებობა. გადახურვისას გათვალისწინებული არ არის ისეთი აუცილებელი სამუშაოები, როგორც არის ფიქალის შეერთების ხაზების გადაფარვა, შეცვლას მოითხოვს გამაგრების ბოძები, აივნის რკინის მილებით გაკეთებული სარტყელი ყველა გადაბმის წერტილში შესაღებელია, აივნის კუთხესაც სჭირდება ყველა გვერდიდან რკინის მილების საყრდენები.

დაშვებულია სერიოზული დარღვევა სამუშაოების შეფასებაშიც. როგორც ჩანს, აქ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაკებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1972 წელს დამტკიცებული პრეისკურანტი კი არ გამოიყენეს, არამედ ჩატარებული სამუშაოები თავიანთი შეხედულებით შეაფასეს.

ყურადსაღებია დამკვეთის პრეტენზია იმაზეც, რომ ხელშეკრულებით აღნიშნული 22 კვადრატული მეტრის ნაცვლად აივნის ფართობი 16 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხოლო სახლის გადახურვაზე ნაცვლად ახალი ხეტყის მასალისა ადგილი რაოდენობით არის გახარჯული თეთრ სახლის პატრონის ძველი მასალა. ხელოვნურად არის გაზრდილი აივნის საყრდენი ბოძების რაოდენობაც. სულ დახარჯეს 34 კუბიური მეტრი რკინის საყრდენი ბოძები, გაანგარიშებაში კი 52 კუბიური მეტრია აღებული.

ასე შეასრულა მოიჯარადარმა ხელშეკრულება. განა ეს არის მომსახურება?

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

სიგნალის შემოწმების შედეგად ბოლნისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა. ამ წერილში სწორედ ამაზეა ლაპარაკი.

სტროს ძველი ხელმძღვანელების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის პერიოდში), სამუშაოები ჩატარდა არასრულად და უხარისხოდ. ყოველივე ამის თაობაზე მოქალაქე ვ. სიკინჭილაშვილმა საჩივარი შეიტანა სამინისტროში. საკითხის შესწავლა დაევალათ სამინისტროს იხდივიდუალური ბინათმოკეთების განყოფილებისა ხელმძღვანელებს. შემოწმებით დადგინდა, რომ მომჩივანი მართალია და ბოლნისის სამმართველოს წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ გაესწორებინა დეფექტები.

რა დეფექტები ჰქონდა მხედველობაში სამინისტროს წარმომადგენელს? მოსახსნელი და ხელმეორედ გასაკეთებელი იყო სახურავი, რადგანაც ფიქალი, რომელითაც გადახურულია სახლი, სრულიად უვარგისია. დარღვეულია ტექნიკური რეჟიმი და უსაფრთხოების თვალსაზრისით მოლიანად უიმედოდ არის დატოვებული ნაგებობა. გადახურვისას გათვალისწინებული არ არის ისეთი აუცილებელი სამუშაოები, როგორც არის ფიქალის შეერთების ხაზების გადაფარვა, შეცვლას მოითხოვს გამაგრების ბოძები, აივნის რკინის მილებით გაკეთებული სარტყელი ყველა გადაბმის წერტილში შესაღებელია, აივნის კუთხესაც სჭირდება ყველა გვერდიდან რკინის მილების საყრდენები.

დაშვებულია სერიოზული დარღვევა სამუშაოების შეფასებაშიც. როგორც ჩანს, აქ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაკებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1972 წელს დამტკიცებული პრეისკურანტი კი არ გამოიყენეს, არამედ ჩატარებული სამუშაოები თავიანთი შეხედულებით შეაფასეს.

ყურადსაღებია დამკვეთის პრეტენზია იმაზეც, რომ ხელშეკრულებით აღნიშნული 22 კვადრატული მეტრის ნაცვლად აივნის ფართობი 16 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხოლო სახლის გადახურვაზე ნაცვლად ახალი ხეტყის მასალისა ადგილი რაოდენობით არის გახარჯული თეთრ სახლის პატრონის ძველი მასალა. ხელოვნურად არის გაზრდილი აივნის საყრდენი ბოძების რაოდენობაც. სულ დახარჯეს 34 კუბიური მეტრი რკინის საყრდენი ბოძები, გაანგარიშებაში კი 52 კუბიური მეტრია აღებული.

ასე შეასრულა მოიჯარადარმა ხელშეკრულება. განა ეს არის მომსახურება?

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ფელეტონი

ამის შემდეგ ბიჯ-ბიჯობით კიდევ ერთხელ?

პროტექცია? — ბევრი ამბობს,
თითქოს მყრალი სუნი უდის,
მაგრამ, ცუდიაო,
მაგრამ რისთვის არის
ცუდი?

კაცს ვიცნობდი,
ინსტიტუტში
მოწყვეტილი ჰქონდა წელი,
სამიანის სამათხოვროდ
გაშვერილი იდგა ხელი...
მაგრამ ბედი! — ცოლის
ბიძას
არვინ უჩნდა სიძის სწორად,
აიღო და შიგ ქალაქში
დასვა სკოლის დირექტორად,
თანატოლებს ბევრს
გაუსწრო,
ნიჭიერებს დაეწია!
ამის შემდეგ იტყვით განა,
რომ ცუდია პროტექციაო?
ერთ-ერთ ტრესტში მე
ვიცნობდი
სამმართველოს უფროსს,
მხუქანს,
მას „ხაჭირო“ კაცებისთვის
სულ გაშლილი ჰქონდა
სუფრა.
ინსტიტუტში ჩასარიცხთა
თან დაჰქონდა ჯიბით ხიბ, —
მისი ნებით გახტუდენტდა
ვანო, ნელი, თედო, მზია...
შიშის გრძნობა მთლად
გაუქრა,
რადგან მახაც ჰყავდა ძია,
ამის შემდეგ კიდევ იტყვეთ,
რომ ცუდია პროტექცია?
ერთ კაცს, ხმობილს
დრამატურგად,
რახანია, ვიცნობ კარგად,
ჯილდოსაც კი იღებს ხშირად
პიესა კი არ უვარგა.
ტელეფონთან, „მარიფათიან“,
თეატრებსაც ბევრჯერ ხმლია,
ანა ჰკითხეთ — თუა ცუდი
ძმახიშობა, პროტექცია?
ნუ ვაძაგებთ კაცს,
პროტექტორს,
ნუ ვუწოდეთ ლაბის დორი,
ვერ აიტანს დამცირებას, —
ამბობდა პროტექტორი!

ზოთა როსუა.

ი. ქოქიაშვილის ნახატი.

მარეჯის კონტროლიორ

კომუნისტი

სახალხო კონტროლის გვერდი № 98

● კონტროლიორები ხუთწლედის ახალ ზღუდეებს უტევენ ● ხელუფარულება ფარატინა ქაღალდი როდია

□ ახალქალაქის, თეთრი წყაროს, ჭარელის, ლაგოდეხისა და ცხინვალის რაიონების მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციას ნაკლები უშადლება ეძლევა □ მანქანების შეძენაზე დიდკალი თანხები დახარჯა, მაგრამ უმოქმედობისაგან ქანგდება □ სტატისტიკურ ორგანოებში არასწორ ცნობებს აგზავნიან.

თუ როგორ სრულდება ახალქალაქის, ჭარელის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის და ცხინვალის რაიონებში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1974 წლის 22 თებერვლის დადგენილება კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში ეროვნულად პროგრესული მექანიზაციის და ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების გამოყენების საქმეში არსებული მექანიზმების აღწერა, გამოვლინდა რა, ეროვნ დანაკლისი, ისე მეტობა. საკითხი გავიტანეთ პარტიული კომიტეტის სხდომაზე, რითაც აღრიცხვის საქმეში ძირეულ გაუმჯობესებას მივაღწიეთ.

მესამე და მეხუთე უბნებისათვის ახალი ველების მომზადების ნელი ტემპის გამო საფრთხე ექმნებოდა სამუშაო ფრონტს. სახალხო კონტროლის ჯგუფმა შეისწავლა მეხუთე და ოცდამესამე ველების მომზადების

ROCA საქმეს პარტიული ორგანიზაცია წარმართავს

ბურღვა-აფეთქების პასპორტის დაცვა, ქვანახშირის ტრანსპორტირებისათვის წყლის გამოყენების შემცირებამ და ა. შ. — მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რაც იქიდან ჩანს, რომ მაღალფაცრიანი ნახშირის მიწოდებისათვის 1974 წელს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მიერ შახტს მოეხსნა 25926 ტონა ქვანახშირი, ხოლო დიდი ნეტაანობისათვის 219905 მანეთით დაჯარიმდა.

სახალხო კონტროლიორთა ღვიძლი საქმეა სახელმწიფოს ქონების დაცვისათვის ბრძოლა. მასზე კონტროლი კი სწორი ადრიცხვის მოუწესრიგებლობამ ეს შახტის პარტიული კომიტეტის სხდომაზე გიტანია. ხოლო სახალხო კონტროლის ჯგუფთან არსებულმა ხარისხის კონტროლიორ სეტერომ ეს თემა პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახადა. გატარებულმა ღონისძიებებმა, — ფუჭი ქანის სამუშაო ადგილზე გადარჩვა,

მუხრუჭები მექანიზაციის გზაზე

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ნეზვისათვის გათვალისწინებულ თითო საღორეში საკეების დამრეგებლების სამონტაჟო სამუშაოები. ახალქალაქის სატყეო მეურნეობის ალასტნის საბჭოთა მეურნეობის სახმარეში დღესაც არ არის მოწყობილი გათბობა.

აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ამ რაიონების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაყოფილებების ხელმძღვანელებ ი ა და სპეციალისტები სათანადოდ არ იფასებენ მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის მნიშვნელობას მეცხოველეთა შრომის შემსუბუქების, პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა და მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების შემცირების საქმეში. პრაქტიკაში არა აქვთ შემოღებული დანადგარ-მოწყობილობის პასუხისმგებელ პირებზე მიმაგრება. რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოები სათანადო დახმარებას და კონტროლს არ უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და ეს მნიშვნელოვანი საქმე თვითდინებაზე აქვთ მიშვებული.

ბოლოს ცენტრალურ ფერმებში ბევრია მოწინავე კონტროლის ჯგუფი და საგუშაგო. ისინი უნარიანად იბრძვიან მინდობილი საქმის მაღალ დონეზე შესრულებისათვის, მაგრამ ყველაზე ამის თქმა მაინც არ შეიძლება.

დადგენილებათა შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩებოდნენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო და საქეჯრობის თელავის განყოფილება. ამასთანავე ამ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა დამპალინჯებებს, სერიოზულ ნაკლოვანებებს. პირდაპირ უნდა თქვას, რომ ამაში ხელმძღვანელებთან ერთად ბრალი მიუძღვით სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სახალხო კონტროლის ჯგუფი (თავმჯდომარე, გ. ჯაშიაშვილი) ერთი შეედვით თითქოს ცუდად არ მუშაობს. ამ ჯგუფის წევრებმა არაერთხელ შეამოწმეს სახერხი ქარხნების, ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და თეატრების ტექნიკის კომბინატის, საბავშვო სახელოსნოების, სამკეთლოებისა და სხვა ობიექტების საქმიანობა. შემოწმებით გამოვლინდა, რომ ამ ობიექტებში დაბალი იყო შრომის დისციპლინა, ირღვეოდა ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის წესები, არ სრულდებოდა გეგმები.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საქეჯრობის თელავის განყოფილებაშიც. სახალხო კონტროლის ჯგუფი (თავმჯდომარე ნ. ყარაულაშვილი) თითქოს სმირად ამოწმებდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობას, ავლენდა ნაკლოვანებებს, მაგრამ ნაკლი ნაკლად დარჩა, ქმედითი ღონისძიებები არ ხორციელდებოდა.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა იმსჯელა აღნიშნული ჯგუფების საქმიანობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი.

ლ. დვალი,

თელავის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის წევრი.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲘᲜᲒᲝᲠᲘ

რაიონის კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა ლარგვისის ვეტუბნის მიერ პირუტყვის დაავადების თავდან აცილებისათვის გატარებულ ღონისძიებათა ხარისხიანობა. გამოირკვა, რომ ამ მიმართულებით ერთგვარად გაუმჯობესდა მდგომარეობა. მაგრამ გამოვლინდა ზოგიერთი ნაკლოვანებებიც. დაავნოსტიკური გამოკვლევის 7 სახიდან 3 შეუსრულებელი დარჩა. მთლიანად არ შესრულდა მსხვილფეხა პირუტყვიდან ბრუცელოზზე გამოსარკვევად სისხლის სინჯების აღების გეგმები.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ

საკოლმეურნეოებათაშორისო მშენებლობის საბჭოს მიერ ბოლო 3 წელიწადში შესრულებულ სამუშაოთა მდგომარეობა შეამოწმა კონტროლის კომიტეტმა. შემოწმებით გამოირკვა, რომ ბევრ შემთხვევაში საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით უხარისხოდ არის აშენებული ამბონები, პირუტყვის სადგომები და სხვ. მათი უმეტესობა დამატებით მუშაობას და შეკეთებას მოითხოვს. კომიტეტმა შემოწმების მასალები განსახილველად და ზომების მისაღებად რაიონისაბჭოს აღმასკომს, გადასცა.

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ

საწარმოებში მატერიალური რესურსების გამოყენების, დაუდგენელი მოწყობილობის ფრუფლად დამონტაჟების, საექსპლოატაციოდ გადაცემისა და არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების მდგომარეობის შესახებ იმსჯელა თავის ამასწინანდელ სხდომაზე სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

შემოწმების მასალების საფუძველზე კომიტეტმა აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრები ფაბრიკის, ბოლიმერული ტარის ქარხნის, ჩაის ფაბრიკების, რაისამრეწველო კომბინატის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელებს დაავალა უზრუნველყონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

კამათობენ, მსჯელობენ

მაიაკოვსკი. ამას წინათ რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა რაიონის სახალხო კონტროლის აქტივის კრება. კრებაზე მოხსენებით „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგები და მაიაკოვსკის რაიონის სახალხო კონტროლის ამოცანები“ გამოვიდა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე კ. დოგრაშვილი.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებმა, აქტივისტებმა, რომლებმაც ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, ამხილეს ნაკლოვანებები.

გ. ლაბაძე.

აი, რა გვიჩვენა შემოწმებამ

სახალხო კონტროლის ჯგუფი, როგორც ყოთელწყაროს რაიონის სოფელ აბგაროვიკის კოლმეურნეობაში შემოწმილი, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა მეურნეობის ეკონომიკის აღდგენლობისათვის. იმაზე, თუ როგორ ასრულებს ეს ჯგუფი ფენდებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, ავას ფინათ იმსჯელა რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა

სასალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამას წინათ შევამოწმეთ სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობის გამგეობის განსაღების შემდეგ, დიდი სასურველი ძვრები მოხდა როგორც მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცების, ისე სოფლის კეთილმოწყობის, შრომილეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის ამაღლების საქმეში. კოლმეურნეობამ (თავი დააღწია ჩამორჩენას და გადაეპარებინა გაანადგა ბეგმები და ვალდებულებები. მტკიცდება პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. ასობით კოლმეურნე, განსაკუთრებით ახალგაზრდობა ჩაება საკოლმეურნეო შრომაში.

რა თქმა უნდა, ამ მიღწევებში კოლმეურნეობის გამგეობასთან, პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად გარკვეული წვლილი სახალხო კონტროლის ჯგუფსაც მიუძღვის. არ არსებობს კოლმეურნეობაში ისეთი დარგი, უბანი, სადაც არ იყოს შექმნილი კონტროლის საგუშაგო. მათი სიგნალების, შენიშვნების განხილვას და ღონისძიებებს ბევრი კარგი შედეგი მოაქვს. კარგად მუშაობენ მემინდვრეობის და მეცვენახეობის ბრიგადგრძთან არსებული საგუშაგოები. მათ მოაწყეს რეიდები, გამოამეღვიძეს ნაკლოვანებები ამა თუ იმ უბანზე, გულგრილი მეურნეები აიძულეს წუნდებული სამუშაოები ხელმეორედ შესრულებულიყო.

სახალხო კონტროლის მუშაკები მეცხოველეობასაც აქცევენ ყურადღებას. უკანასკნელ ხანს მოწესრიგდა საკვების ხარჯვა, მიღებული პროდუქციის აღრიცხვა, ეწყობა საკონტროლო წველა, რეიდები კვების რაციონის, პროდუქციის ხარისხის დაცვის და სხვა საკითხებზე.

მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ საქმე ყველგან რიგზე იყოს. სახალხო კონტროლის ჯგუფი, მისი სექციები და საგუშაგოები არ ამოწმებენ, კონტროლს არ უწევენ კოლმეურნეობის გამგეობის, პარტიული ორგანიზაციის დადგენილების შესრულებას იმ ნაწილში, თუ როგორ ირთმევა ნამატის მიღებისა და გამოზრდის საქმე, ამ მხრივ წლების მანძილზე რატომ არ სრულდება გეგმები, რატომ იხოცება პირუტყვი, რატომ არის იძულებითი დაკვლის ფაქტები მეძროსეობის, მეცვენახეობის, მეფრინველეობის ფერმებში, რა არის ან ვინ არის ამის მიზეზი, რატომ ბარდება სახელმწიფოს უსტანდარტო ხორცი, მატყელი, ტყავი.

სუსტად მუშაობენ სახალხო კონტროლის ჯგუფთან არსებული სოციალისტური საკუთრების აღრიცხვისა და დაცვის (ხელმძღვანელი ი. ლომაშვილი), სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაცვის (ხელმძღვანელი თ. ლომიძე) სექტორები. ამის პირველი მიზეზი ის არის, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი ზ. ჯაბალაშვილი ძირითადად ვერ ამოწმებს მათ, არ სთხოვს ანგარშებს.

სწორედ კონტროლის შესუსტების შედეგად შარშან კოლმეურნეებმა ი. მაჩაბლიშვილმა, ა. დათუკიშვილმა, ზ. გოგაშვილმა და სხვებმაც დაიტაცეს თივა, კომბინირებული საკვები. შრომის დისციპლინის დაბალ დონეზე ისიც მეტყველებს, რომ კოლმეურნეთა ერთ ნაწილს არა აქვს გამომუშავებული შრომის სავალდებულო მინიმუმი, არიან ისეთებიც, რომლებიც სულ არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში.

პროგრესული ღონისძიებების დანერგვის სექტორს გ. ალადაზეიანი ხელმძღვანელობს. სამწუხაროა, ჯერამ ფაქტია, რომ მას ამ მხრივ თითქმის არაფერი გაუკეთებია. ბევრი კარგი წინადადება დაინერგა მეცხოველეობაში, მეფრინველეობაში, მაგრამ მან ამისა არაფერი იცის.

ერთი სიტყვით, შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფი, მისი თავმჯდომარე ზ. ჯაბალაშვილი სათანადოდ ვერ იყენებენ სახალხო კონტროლის დებულებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობას.

როგორც იტყვიან ხოლმე, ჯოხის მეორე ბოლო ჩვენი გვხვდება. ამას ნამდვილად რომ გავითვალისწინებთ!

გ. გველუკაშვილი,

**წითელწყაროს რაიონის სახალხ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის

გაიმართა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

მოხსენება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა ამოცანები“ გააკეთა მინისტრმა გ. პ. გამცემლიძემ.

სამინისტროს საწარმოებმა წარმატებით დაიწყეს ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. ორ თვეში დაგეგმილების გადამეტებით გამომუშავებულია 4 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. ეს სრულ საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მიმდინარე წელს სიტყვა მომხმარებლის პროგრამის გადამეტებით მისცემს 20 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების ხაჭონელს. ამავე დროს მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აუცილებლად აღნიშნეს, რომ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი სისტემის საწარმოებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებისათვის. მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ ირღვევა ტექნოლოგიური ნორმები, ნაკლები ყურადღება ეთმობა სახალხო მოხმარების საქონლის გარეგნობას. დაბალ დონეზეა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი და შემოწმება, გასაუმჯობესებელია კადრების შერჩევისა და განაწილების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკა.

კრების შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. დ. კიკნაძემ.

მიღებულ რეზოლუციაში კრების მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს გარდაქმნან თავიანთი მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, უზრუნველყონ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესება.

თათბიროობენ ავტოტრანსპორტელები

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განიხილა სსრკ-ის კოლეგიტიგების გასული წლის მუშაობის შედეგები და მიმდინარე, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით. მოხსენება გააკეთა მინისტრმა თ. ნ. დვიათაშვილმა.

კრების მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა 1974 წლის საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი ვადამდე შეასრულეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

მაგრამ მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ძირითადი ყურადღება მიაქციეს სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების ანალიზს, რომლებიც ჯერ კიდევ არის სისტემის ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობაში. ბევრ კოლექტივში ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას შრომისა და საწარმოო დისციპლინა.

ჯერ კიდევ დაბალია სამგზავრო ტრანსპორტით რესპუბლიკის მოსახლეობის მომსახურების კულტურა, სუსტად არის მოგვარებული მომსახურება ღამით და „ბიკ“ საათებზე.

საკმარისი ეფექტურობით არ იყენებენ აგრეთვე სატვირთო ავტოტრანსპორტს, დიდი ცარიელი გარბენების რაოდენობა, ფაროდან ვერ გავიცილდა მისაბამელები და ნახევრად მისაბამელები, არის პირადი, ანგარების მიზნით ავტომობილების გამოყენების შემთხვევები.

ჯერ კიდევ ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას საავტომობილო პარკის ტექნიკური მომსახურება, არის შემთხვევები, როცა ხაზზე გადიან ტექნიკურად გაუმართავი მანქანები.

კრებაზე დასახეს სისტემის ყველა რგოლის საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესების ღონისძიებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი.

კინომუშაკთა საარსებო ამოცანები

კინოს სახლში გაიმართა რესპუბლიკის კინემატოგრაფიის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. დვალიშვილმა გააკეთა მოხსენება „რესპუბლიკის კინემატოგრაფიის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობა „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

ორწელიწად-ნახევარი გავიდა, თქვა მან, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს ისტორიული დოკუმენტი სამოქმედო პროგრამა გახდა საბჭოთა კინოს ყველა მუშაკისათვის, მათ შორის საქართველოს კინემატოგრაფიტმენიცა. ამ უკანასკნელ წლებში სტუდია „ქართულ ფილმში“ შეიქმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი კინონაწარმოებნი, რომლებიც გამოირჩევიან ღრმა იდეურობით, მაღალმხატვრული ოსტატობით და შემოქმედებითი სიმწიფით.

მომხსენებელმა ილაპარაკა სტუდიის პერსპექტიულ გეგმაზე.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ სერიოზული ძვრები მოხდა კინოსტუდიის საწარმოო საქმიანობაშიც, გაუმჯობესდა დისციპლინა, ამაღლდა მომთხოვნელობა და მუშაკების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

მაგრამ, ამასთანავე, რესპუბლიკის კინოორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები. წარმოებაში უშვებენ მდარე, ხოლო ზოგჯერ სუსტ სცენარებს, ამის შედეგად ეკრანებზე გამოდის ხოლმე უფერული ფილმები.

ზოგიერთ ფილმს ახასიათებს ამბებისა და ფაქტების ზერელე გაგება. ორატორი აღნიშნავს არარეტმულობას სტუდიის მუშაობაში, ფილმების წარმოებისა ვადების დარღვევას, გადამღები ჯგუფების მოცდენს, ფირების გადახარჯვას.

კრებაზე მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი რეზოლუცია.

კინომუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. ჩერქეზიშვილმა.

ალმოვფხვრათ ფორმალიზმი, ზერელობა

გაიმართა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს სსრ დაწესებულებების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, პარტიკომ ორგანიზაციათა მდივნებთან ერთად. თათბირზე განიხილეს მოხსენება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს სსრ დაწესებულებათა 1974 წლის მუშაობის შედეგები და მათი ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV და XV პლენუმების გადაწყვეტილებებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკმეზე. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ვ. ჯინჯიხაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს სს რესპუბლიკის დაწესებულებების მუშაკთა შეცადინეობით, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასთან საკრედიტო ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით გაფართოებასა და განმტკიცებას, გარკვეულად გაუმჯობესდა მუშაობა სახელმწიფო და ფინანსური დისციპლინის დაცვისათვის, სახალხო მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მაზეთით კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ამავე დროს კრების მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს სახბანკის ზოგიერთი კანტორისა და განყოფილების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

სახბანკის დაწესებულებებში საქმეთა მდგომარეობის პრინციპული შეფასების, ნაკლოვანებების, შეცდომებისა და ხარვეზების, უკონტროლობის გამოვლინებისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტების ანალიზის საფუძველზე თათბირის მონაწილეებმა დასახეს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს დაწესებულებათა ეკონომიური მუშაობის დონის ძირეული ამაღლების კონკრეტული გზები.

თათბირის მონაწილეებმა ყველა მუშაკს მოუწოდეს ბოლო მოუღონ სალაყო მეურნეობაში დაკრედიტებასა და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საკითხების ფორმალურ, ზერელე განხილვას, უზრუნველყონ კრედიტების ეფექტიანი გამოყენება, გაამრავლონ თავიანთი ღონისძიებები საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებისათვის.

თათბირზე განიხილეს და მიიღეს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს სს რესპუბლიკის დაწესებულებების მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებები 1975 წლისათვის. სახბანკის დაწესებულებებისა და ქალაქ მოსკოვის შენნახველი სალაროების მუშაკთა მიმართვის პასუხად ნაკისრი კონკრეტული ვალდებულებები მიზნად ისახავს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს დაწესებულებების მუშაკთა წვლილის გადიდებას მეცხრე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

(საქინფორმი).

დროშა — გამარჯვეულებს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ხუთწლედის მეოთხე წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში წარმოებულ ყოფილ რაიონის მშრომელებმა თავიანთი სიტყვა თქვეს — სახელმწიფოს გეგმაზე გაცილებით მეტი მარცვლეული, მზესუმზირა, ყურძენი, მეცხოველეობის პროდუქტები მიაყიდეს, რისთვისაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს. რაიონს ასეთივე გარდამავალი დროშა მიეკუთვნა მეცხოველეობის სკვეის ბაზის განმტკიცებისათვის.

რაიონს, მშრომელთა წარმომადგენლების კრებაზე, ეს დროშები საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ.

რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებმა თავიანთ საპასუხო სტატყვაში მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მადლობა გადუხადეს ამ დიდი ჯილდოებისათვის და ახალი გადიდებული ვალდებულებები აკისრეს.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 12 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სატიტო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბორის ნესტორის-ძე ამაკელია — სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური ბეერთიანება „საქსოფლტექნიკის“ იურიდიული განყოფილების უფროსი, საბჭოთა და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ნინო ივანეს ასული ერქომაიშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ელისაბედ პაველეს ასული ცაბოლოვა, — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ვლადიმერ გრიგოლის-ძე დონაძე — ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი — ქართული საბჭოთა მუსიკათმცოდნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ლეონტი ალექსანდრეს-ძე ოლლიშვილი — „გურჯაანის რაიონის სოფელ ზომამ მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი — საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

◆

ომის ვეტერანები სტუმრად

თელავი. (საკ. კორ.). დიდი სამამულო ომის ვეტერანი გადამდგარი პოლკოვნიკი ე. ქანთარია ამ დღეებში ესტუმრა რაიონის მუშა და მოსწავლე, ახალგაზრდობას. ვეტერანი შეკრებილთა წინაშე გამოვიდა მოხსენებით „დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავი“.

ამავე საკითხზე ტ. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა გადამდგარი პოლკოვნიკი შ. პაპაძე.

ჯილდო დაიმსახურეს

თბილისის სატელეფონო ქსელის სამმართველოს პროფკავშირების გაერთიანებულმა კომიტეტმა შეაჯამა მარწმუნდელი წლის მეოთხე კვარტალის მიხედვით სატელეფონო კვანძებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულად სცნო და გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვეს პირველი მაისის რაიონის სატელეფონო კვანძი (უფროსი გ. გვილავა, მთავარი ინჟინერი დ. გიგანი, პარტიუროს მდივანი გ. გოგიმელი, ადგილკომის თავმჯდომარე მ. გოგილავა).

კვანძის კოლექტივმა ეს ჯილდო მოიპოვა სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებით, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით, ფულადი შემოსავლების გადიდებით, ხაზების დაზიანების რიცხვის შემცირებითა და პროფილაქტიკური სამუშაოების მაღალხარისხოვანი შესრულებით.

აღსანიშნავია, რომ პირველი მაისის სატელეფონო კვანძის კოლექტივმა 1974 წლის კვარტალების გეგმების შესრულებით ჯილდო მესამედ მოიპოვა.

გარდამავალი ვიმპელი და ფულადი პრემია გადაეცა ავრეთვე სატელეფონო სადგურებს შორის გამარჯვებულ ატს 71-ის კოლექტივს.

ვასილ კიკვიძის დაბადების 80 წლისთავი

დღესაც ჩვენს გვერდით

ხალხი გამოაყოფს თავისი რიგებიდან ნიჭიერ მეთაურებს. აი, მაგალითად, კიკვიძე. იგი პატარ-პატარა რაზმებს მსხვილ შენაერთებად კრებს. მამაცი, გონიერი უფროსია. მეორეა სივერსი... ესენი მოკვდებიან გაბედულად, მტკიცედ და ორგანიზებულად.

ვ. ი. ლენინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მრბამართავთ თქვენ, საბჭოთა ჯარისკაცებსა და ჯაბუკებს:

ეკავით უფროს თაობათა ღირსეული ცვლა, მათი გმირული საქმეებისა და ტრადიციების გამგრძელებელნი. მტკიცედ და მუუსიეთად დგეფულეთ ცოდნას, აღნიშნეთ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამგვარელური შრომით; შეიტანეთ ღირსეული წვლილი კომუნისტური პარტიის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

მამათა მაგალითი — შვილებს

სიმღერა „კიკვიძის ველი“

საბოჭალაქო ომის წლებში ჩვენი ოლქის ტერიტორიაზე მამაცურად იბრძოდნენ XVI მსროლელი დივიზიის სახელოვანი მებრძოლები, რომელთაც სათავეში ედგა ლეგენდარული დივიზიის მეთაური, ქართველი ხალხის გამოჩენილი მხედართმთავარი ვასილ ისიდორეს-ძე კიკვიძე.

დღეს სახელოვანი დივიზიის მეთაურის სახელობისაა ჩვენი ოლქის ერთ-ერთი რაიონი და მასში მემამული მოწინავე საბჭოთა მეურნეობა.

ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის ზეიმის დღეებში კიკვიძის სახელობის რაიონის თვითმოქმედმა კოლექტივებმა შეასრულეს ახალი სიმღერა „კიკვიძის ველი“, რომელიც დაწერა ადგილობრივმა კომპოზიტორმა ვ. ანდრუშენკომ ლ. კოლესნოვთან და ბ. იაროვთან ერთად. სიმღერა „კიკვიძის ველმა“ ახლახან თვითმოქმედების საოლქო კონკურსზე წამახალისებელი პრემია და დიპლომი მიიღო.

გაზეთი „ბოლგოგრადსკაია პრავდა“.

□

გმირის საფლავი

1935 წლის მარტში გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა წერილი, სადაც ხათქვამი იყო, რომ ქართველი ჩაპაევის ვ. ი. კიკვიძის საფლავი ძოუვლელია და სავალალო ფდგომარეობაშია იმყოფებათ. წერილში დიდი ბა მოსმაურება ჰქონა ჩვენს ქვეყანაში, სტალინგრადის ოლქის პროფორგანეს-კის რაიონიდან მოსკოვს ჩამოვიდა სპეციალური დელეგაცია, რათა ზუსტად დადგინა კიკვიძის საფლავის მდგომარეობა და რევოლუციის გმირისთვის ძეგლი აღეშენათო.

ჩვენ შევხვდით დელეგაციის ხელმძღვანელს, ამჟამად საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერულ პენსიონერს, 1918 წლიდან პარტიის წევრს ალექსანდრე ეგეულიოვს. აი, რა მოგვითხრა მან:

როცა გაზეთ „პრავდაში“ კიკვიძის შესახებ წერილი გამოქვეყნდა, მაშინ მე კიკვიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობის პოლიტგანყოფილების უფროსად ვმუშაობდი პრეობრაჟენსკის რაიონში. იმ დღესვე შედგა სახელდებელი მიტინგი, გადაწყდა მიგვეწერა წერილი მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე, ისტორიული ძეგლების დაცვის კომისიაში. წერილში კომისიას ვთხოვდით კიკვიძის სახელობის მეურნეობიდან გამოეძახათ მოსკოვს მშრომელთა დელეგაცია. 1935 წლის 8 ნოემბრს მოსკოვს მიგვიწვიეს კიკვიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობა „ორსას“ უფროსი, მე-16 დივიზიის მებრძოლი, დიდებენკო, კომეურნეობის თავმჯდომარე, მე-16 დივიზიის მებრძოლი, არტილერისტი ჩისემკოვი და მე.

მოსკოვში ვგანკვეთის სასაფლაოზე საკმაოდ აღვილად მივაკვლიეთ ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძის საფლავს. პატარა ბორკვზე შეა დაფაზე თეთრი ასოებით ეწერა „კიკვიძე“. საფლავი ცნობილი რევოლუციონერის ნიკოლოს ბაუმანის ძეგლიდან სულ რამდენიმე ნაბიჯით იყო დაცილებული... სასაფლაოდან მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარესთან მივედით. გამოგვიყვეს სასაფლაოზე რევოლუციის გმირებისთვის ძეგლების აღმართვის საკიოსტატი.

1935 წლის 14 ნოემბერს დიდძალი ხალხის თანდასწრებით ქართველი ჩაპაევის — ვასილ კიკვიძის საფლავზე აღმართული იქნა ძეგლი. ჩვენი რაიონის მშრომელთა სახელით საფლავზე ცოცხალი ყვავილების გვირგვინი დავდეთ... ვარდისფერი გრანიტის ძეგლზე ოქროს ასოებით იყო ამოკვეთილი სათანადო წარწერა.

თვალგრძელიანი ვიდექით გმირის საფლავთან, გულზე ჩვენი მშობლიური ხუტორის მიწა გადავაყარეთ.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ძ. მოსკოვი.

გმირის სხოვნას მიეძღვნა

ქუთაისი. (საქინფორმის კორ.). ქუთაისის ოპერის თეატრში გაიმართა საზეიმო სალამო, რომელიც მიეძღვნა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის, დივიზიის მეთაურის ვასილ კიკვიძის დაბადების 80 წლისთავს.

საზეიმო ხალამო გახსნა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ფხაკაძემ.

ვასილ კიკვიძის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ა. ირემაძემ. ლეგენდარული დივიზიის მეთაურის უკვდავ გმირობას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები დოცენტმა პ. ვაჩრიძემ, საბჭოთა კავშირის გმირმა ი. დუძლიმ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. კასიძემ და სხვ.

დღეს, 14 მარტს, სალამოს 7 საათზე საბჭოთა არმიის ოფიცერთა თბილისის საოლქო სახლში გაიმართება სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვ. ი. კიკვიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სალამო.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ეჯიბრებიან

მაიაკოვსკი — კიკვიძე

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, სამოქალაქო ომის გმირის, ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილის ვასილ კიკვიძის დაბადების მე-80 წლისთავის გამო „კომუნისტის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. შ. კოხოძეს, რომელმაც თქვა:

პარტიის მაიაკოვსკის რაიკომი და რაიასაბჭოს აღმასკომი მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ იმასთან დაკავშირებით, რომ წლეულს მარტში აღინიშნება სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის, ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილის, სახელგანთქმული XVI დივიზიის მეთაურის ვასილ კიკვიძის დაბადების მე-80 წლისთავი.

რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე და სასწავლებლებში იკითხება ლექციები და მოხსენებები ვასილ კიკვიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ადგილებზე ეწყობა შეხვედრები სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, შრომის გმირებთან, უჩვენებენ კინოფილმებს, რომლებშიც ასახულია კიკვიძის სარდლობით წარმოებული ბრძოლები სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მაიაკოვსკის რაიონის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებან ვოლგოგრადის ოლქის კიკვიძის სახელობის რაიონის მშრომელებთან. ამისათვის, რომ გაფორმდეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დიალებების, შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას ითვალისწინებს, გამოიყო რაიონის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიან: პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ნ. კოტრიკაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კაკნაველიძე, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის დირექტორი ნ. კუკუხიძე, კომკავშირის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ბუხულეიშვილი, დიმის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი თ. დენისაშვილი, ვარცხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა ჯ. ბაქრაძე, სამამულო ომის ვეტერანი, ყოფილი პარტიზანი, პენსიონერი მარია შიშა (დაბა მაიაკოვსკი).

დელეგაცია ამ დღეებში გაემგზავრება ვოლგოგრადში კიკვიძის სახელობის რაიონში.

სურათზე: სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ნ. ა. პოდვოისკი კითხულობს წითელარმიელი ფიცის ტექსტს. მარჯვნივ ვასილ კიკვიძე.

ლეგენდარული

ველ რევოლუციაში. ვასილ კიკვიძემ აქ, ბაქოსნიადი გაიცნო და საუკეთესოდ დაუფეგობრდა ვლადიმერ მაიაკოვსკის. ალთან ერთად ოფიციალურად გახდა ეს უკვდავყოფილ ბოლშევიკთან ერთად ეროვნული ფესვეულ ბრძოლებში. კიკვიძე თავიანთ მეგობარ გიმნაზიელებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რევოლუციურ მოძრაობაში.

1905—1907 წლების რევოლუციამ დამარცხდა. რუსეთის იმპერია ოცვა ოფიციალ მოიცვა. დადგა რევოლუციურ ძალებთან სასტიკი ანგარიშსწორების პერიოდი. რევოლუციური საქმიანობისათვის სხვებთან ერთად გიორგაზიიდან გარიცხეს ვასილ კიკვიძე.

1914 წელს ვასილი ქუთაისის გიმნაზიაში ეკატერინეს ოფიცერთა წამბალტიდან აბარება გაძოცდება და იღებს გიმნაზიის დამთავრებულის ატესტატს. ერთი წლის შემდეგ კიკვიძე ადეოსებს ჯარში მოხალისედ წაბაძვას. ეგ ეკ. კიხისნოვში ულანთა ცხენოსან პოლკში ჩარიცხეს კადეტ-ეფიცერად. 1916 წლის ბოლოს კი საპარეო-დასავლეთის ფრონტზე გაგზავნეს.

ძმინვარეს პირველი ოსოფლიო იმპერიალისტური ომი. კიკვიძე ეფეგრეულ ბოლშევიკურ ფოფოლეციურ ეუფლობას ითვლეს ჯარისკაცთა ბორის. ფრონტზე ჯარისკაცთა შორის მეტეფაოე რევოლუციონო საქმიანობისათვის კიკვიძე დაამატიმრეს და, როგორც მეფეთ ოფიცერეს, სიკვდილი მიუსაჯეს. მისი სიცოცხლე თემეოფლის რევოლუციამ იხსნა. კიკვიძე ციხიდან გაათავისუფლეს და თავიც ხაწილმი დაბრუნდა. აქ მე-7 კორპუსის მე-6 საკავალერიო დივიზიის ჯარისკაცთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. კიკვიძეს მალე შეძლო ჯარისკაცთა კოლიტეტისათვის დაემორჩილებინა დივიზიის სარდლობა.

არმიაში რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ძალეთა ორის ბრძოლა შეადგინა სულ უფრო გამწვავდა. ამან თავიანთ გამოხატულება ჰპოვა 1917 წლის ნოემბერში საბრეთ-დასავლეთის ფრონტის საგანგებო ყრილობაზე, სადაც მქუხარე სიტყვით გამოვიდა კიკვიძე, რომაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სულ მალე ვასილ კიკვიძე მეექვსე ცხენოსანი დივიზიის მეთაური გახდა.

1917 წლის 31 დეკემბერს პეტლიურელებმა და ბაიდაბაკებმა სასტიკი დამარცხება იწვნიეს ქ. როვნოში. ეს იყო კიკვიძის მიერ საუწრაფოდ შედგენილი საყოველთაოდ ცნობილი როვნოს რაზმის პირველი სერიოზული გამარჯვება. სწორედ ეს რაზმი გახდა დასაყრდენი კიკვიძის ლეგენდარული ციის შედეგად უკრაინაში მომქმედი ეროელ ჯგუფებისაგან რაზმებისაგან შეიქმნა ხუთი საბჭოთა არმია. კიკვიძე მე-4 არმიის სარდლად დაინიშნა. ამ არმიამ კიკვიძის სარდლობით 1918 წლის მარტ-აპრილში სოსნოვის ბრძოლები გაანადგა პეტლიურელთა, ბაიდაბაკთა და ვერმახელ ოკუპანტთა ჯარების წინააღმდეგ გრეგენკას, რომოლანის, პოლტავისა და კიევის რაიონებში. საგანგებო ზომები იქნა მიღებული ხარკოვის დასაცავად. 6 აპრილს კიკვიძე დაინიშნა ხარკოვის დაცვის სარდლად.

1918 წლის აპრილში ბრესტის ხაზაგი პირობების შესაბამისად კიკვიძეს ებრძანა, რომ მე-4 არმია რუსეთის ტერიტორიაზე გადმოეყვანა. ტამბოვში მე-4 არმიის ბაზაზე შეიქმნა რიგგარეშე ფორმირების პირველი საბჭოთა დივიზია, რომლის სარდლად კიკვიძე აირჩიეს.

ვ. ი. ლენინი ერთობ მაღალ შეფასებას აძლევდა კიკვიძის მხედრულ ნიჭსა და მამაცობას. 1918 წლის მაისში ბელადმა იგი ორჯერ მიიღო თავის კაბინეტში და ხანგრძლივად ესაუბრა. ბიდმა ლენინმა კიკვიძე დაახასიათა, როგორც შედეგარი, შემტევი მეთაური, ერთგული და ნიჭიერი სამხედრო მოღვაწე.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ახლად შექმნილი კიკვიძის დივიზია ლენინის მითითებით სამხრეთის ფრონტის ყველაზე მძიმე უბანზე გადაისროლეს. აქ, ცარიცინის მორეულ მისადგომებზე 1918 წლის ივნისიდან მოკიდებული, ვიდრე დენიკინისა და კრასნოვის ჯარები არ იქნა განადგურებული, შეუპოვრად იბრძოდნენ კიკვიძის ჯარები. ისინი მტრის ნამდვილ რისხვას წარმოადგენდნენ.

1918 წლის 14 ივნისს სამხრეთის ფრონტი სამ ნაწილად გაიყო, ამ-ლად შექმნილი ხოპორის ფრონტის სარდლად დაინიშნა კიკვიძე, რომელსაც დაეკისრებოდა ძირითოვისა და მამეკინის ჯარები. მალე აქ კიკვიძის ჯარებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. მტერი გარეცილი იქნა საკვანძო სადგურ ალექსიკოვოდან, რის შედეგადაც ადგა მოსკოვისაკენ მიმავალი რკინიგზის ხაზი. კიკვიძემ დედაქალაქისაკენ გაგზავნა სურსათით დატვირთული პირველი ეშელონი.

რვა თვის განმავლობაში იბრძოდნენ კიკვიძელები. სამხრეთის ფრონტზე და ვინ მოთვლის რამდენი სასახლო ბრძოლა მოიგეს მათ... ლეგენდარული მე-16 დივიზია სამეფდრო დიდების უკვნობი შარავანდედით შეიმოსა.

მაგრამ დადგა საბედისწერო 1919 წლის 12 იანვარი. ვერაგი მტრის ტყვიამ შეწყვიტა ვასილ კიკვიძის მჩქეფარე სიცოცხლე, უსაზღვრო წუხარეზე დაეტოვებინა კიკვიძელებს, მთელ დონს, მშრომელ კაზაკობას, სამშობლოს ფრონტს, ძაძაში გაეხვია დიენერია.

ლენინის განკარგულებით კიკვიძის ნეშტი მოსკოვს ჩასვენეს, სამგლოვიარო მატარებელს კურსკის სადგურზე დაბვდა მთავრობის დელეგაცია ა. ლუნაჩარსკის მეთაურობით.

1920 წლის ზაფხულში სამხრეთის ფრონტებზე სამარი ოპერაციების წარმატებით დამთავრების შემდეგ, კიკვიძის დივიზია დასავლეთის ფრონტზე თეთრპოლონელთა ჯარების წინააღმდეგ იქნა გადასროლილი. დივიზიას არც აქ შეურცხვენია კიკვიძის სახელი. ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის დივიზიის 137-ე ტამბოვის პოლკი, 136-ე მუშათა და ბლეხთა მსროლელი პოლკი, 138-ე 139-ე, 140-ე, 141-ე, 142-ე, 143-ე მსროლელი პოლკები დაჯილდოვდნენ საპატიო რევოლუციური წითელი დროშებით.

...კიკვიძის დივიზიამ თავისი ჭეშმარიტი შეიტანა სამამულო ომში ფაშისტური ჯარების განადგურების საქმეშიც. იგი ბელეკოვარ ბრძოლებს აწარმო

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ᲔᲚᲝᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲥᲔ ᲔᲚᲝᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲥᲔ ᲔᲚᲝᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲥᲔ

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲡ — ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ!

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 13 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაამთავრა კვიპროსის საკითხის განხილვა, რომელიც კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობამ დასვა კუნძულზე მდგომარეობის გართულების გამო. დისკუსიამ, რომელიც სამ კვირას გაგრძელდა, ცხადყო უშიშროების საბჭოს მეტი წილი წევრების შეშფოთება კვიპროსის პრობლემის „გაშეკაედის გამო, რაც გამოიწვიეს უცხოეთის სამხედრო ინტერვენციამ და გარედან უხეშმა პოლიტიკურმა ჩარევამ, კვიპროსის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინა გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობამ. ბევრმა ორატორმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ უცხოეთის ჯარები რესპუბლიკის ტერიტორიიდან და მისცენ მის ხალხს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვეტოს კვიპროსის შინაგანი მოწყობის საკითხები.

ამავე დროს უშიშროების საბჭოს მუშაობამ ცხადყო, რომ ნატოს გარკვეული წრეები კვლავინდებურად ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილებას ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისი გენერალური მდივნის სახით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს თემთა შორის მოლაპარაკებაში. გენერალური მდივნის მონაწილეობა მოლაპარაკებაში და მისი ინგარიშგება უშიშროების საბჭოს წინაშე საშუალებას მისცემს საბჭოს თვალყური ადევნოს მოლაპარაკების მიმდინარეობას და, თუ საჭირო გახდა, განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი.

ამ რეზოლუციის ნაკლოვანებანი უმთავრესად ეხება დებულებებს კვიპროსის შესახებ მოლაპარაკების განახლების საკითხზე. მოლაპარაკების საფუძველი კვლავ არის დიალოგი კვიპროსის ორი თემის წარმომადგენელთა შორის, რომელსაც დღემდე არ მოჰყოლია შედეგები და ახლა შეწყვეტილია.

სსრ კავშირის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, აღრეთვე ტანზანიის, გაიანისა და თვლეი რიგი სხვა მიუმხრობელი ქვეყნების წარმომადგენლებმა კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს ამ რეზოლუციის თაობაზე.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ, 13 მარტი. (საკდესი). 11 მარტს დასახმარებლიგენციური ამბოხების ცდის ლიკვიდაციის შემდეგ პორტუგალიაში ცხოვრება კვლავ ნორმალური გახდა. მუშაობენ საწარმოები და დაწესებულებანი, ტრანსპორტი გახსნილია მაღაზიები. ამავე დროს ბანკის მოსამსახურეთა ინიციატივით მიღებულია გადაწყვეტილება ლისაბონში ჯერჯერობით არ გახსნან ბანკები, რათა ბურჟუაზიას არ მისცენ საშუალება, რომ თავიანთი ანგარიშებიდან დიდი თანხები გაიტანონ.

პორტუგალიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი იუწყება, რომ დააპატიმრეს მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების მთელი რიგი წამყვანი მონაწილენი. მათ შორის არიან ყოფილი პრეზიდენტის ა. დი სპინოლას მომხრენი, სახელმწიფო საბჭოს ყოფილი წევრი პოდპოლკოვნიკი ალვიდი ბრუნო და ბრიგადის გენერალი მორაიში.

როგორც პრესა იუწყება, ოთხი შეთქმული, რომლებმაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს შეიფარეს თავი, ჩაბარდნენ ხელისუფლებას და დაპატიმრებულნი არიან. მათ შორისაა გენერალი დამიანი, რომელიც დი სპინოლას დროს ეროვნული რესპუბლიკური გვარდიის სარდალი იყო.

მთელ ქვეყანაში იმართება მიტინგები და კრებები, რომლებზეც მშრომელები სოლიდარობას უცხადებენ შეიარაღებული ძალების მოძრაობას და მიესალმებიან ფაშიზმისა და კონტრრევოლუციის ძალებზე გამარჯვებას. მიტინგებისა და კრებების მონაწილეები მოითხოვენ ამბოხების ცდაში მონაწილე პირთა სასტიკ დასჯას.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲗ ᲜᲘᲜᲐᲒᲑᲔᲑᲘ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ სინგაპურის გაზეთი „სტრეიტს ტაიმსი“ იუწყება, პაპუა-ახალ გვინეაში აქტიური კამპანია მიმდინარეობს ნიანგების გადასარჩენად.

ჩვენს პლანეტაზე ნიანგების გადაშენება საოცრად სწრაფი ტემპით ხდება: ნიანგის 23 სახეობიდან 15 სრული გადაშენების პირზეა მისული. ეს ცხოველები ითვლებიან ავსტრალიაში, სულ უფრო შეცირდება მათი რიცხვი აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. მათი კლვადობის მთავარი მიზეზია ნიანგის ტყავისათვის მათზე უკონტროლო ნადირობა.

ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის ამასწინანდელ სხდომაზე მეცნიერებმა მიიღეს პაპუა-ახალი გვინეის დელეგაციების რეზოლუციის პროექტი, რომლის თანახმად ნიანგები გამოცხადებულია იმ ქვეყნების ეროვნულ სიმდიდრედ, სადაც ისინი ბინადრობენ. შემუშავდა გეგმა, რომელიც ზღუდავს ნიანგებზე ნადირობას. იგი, კერძოდ, ითვალისწინებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, დასავლეთ და სამხრეთ აფრიკაში ბინადარი ნიანგების დაანგარიშებას, ამ სახეობის ნიანგების დაცვას, რომლებიც „გადაშენების პირას არიან მისული, ცხოველის ჩვენების შესწავლას, სპეციალური ნაკრძალების შექმნას.

ᲕᲔᲠᲐᲒᲘ ᲓᲔᲚᲘᲙᲐᲢᲔᲡᲘ

ᲗᲔᲰᲖᲘ ფუგუ იაპონელთა ერთერთი საყვარელი კერძია. მაგრამ მისი მომზადებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო: თევზის შიგნეულობა შეიცავს შხამს — ტეტროდოქსინს, რომელიც კალიუმციანიდზე უფრო საშიშია. 1958 წელს, როცა ამ ვერაგი დელიკატესით მოწამვლის შედეგად 167 კაცი დაიღუპა, იაპონიის მთავრობამ დაადგინა, რომ ფუგუს კერძები მხოლოდ სპეციალიზებულ რესტორნებში დაემზადებინათ და მისი დამუშავება მხოლოდ განსაკუთრებული ლიცენზიების მქონე მზარეულებს დაეკისრათ. მაგრამ იაპონიაში ყოველწლიურად მაინც ხდება ფუგუს შხამით მოწამვლის ოთხმოცამდე შემთხვევა. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთი გურმანები რისკს ეწევიან და საკვებად ხმარობენ თევზის იმ ნაწილებსაც კი, რომლებიც შხამს შეიცავს. ასე დაიღუპა, მაგალითად, მ. წ. 16 იანვარს ეროვნული თეატრის „კაბუკის“ ცნობილი მსახიობი მიცუგორო ბანდო.

ცნობილი მსახიობის სიკვდილმა მადა წაუხდინა ფუგუს ბევრ მოყვარულს. რესტორნებმა უარი თქვეს ამ „სასიკვდილო“ თევზის ყიდვაზე. ფუგუს ფასი ოთხჯერ დაეცა. მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. საღამოობით ფუგუს სპეციალიზებული რესტორნების შესასვლელებთან კვლავ თავს იყრიან ფუგუს მოყვარულნი.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 12 მარტი. (საკდესი). კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მონაწილეობით კინოსტუდია „მოსფილმში“ გადაღებული ფერადი კინოკომედიის „არ დაიდარდოს“ ჩვენებით დაიწყო დასავლეთ გერმანიის ტელევიზიამ საქართველოს სს რესპუბლიკის კინოხელოვნების ფესტივალი.

ტელემაყურებლებმა ნახეს აგრეთვე დიდი დოკუმენტური კინონარკვევი ქართული კინემატოგრაფიის განვითარების შესახებ. ნარკვევის ავტორებმა დაწვრილებით გააშუქეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საქმიანობა, რეჟისორებისა და მსახიობების მომზადება რესპუბლიკაში, მუშაობა ახალ ფილმებზე.

ტელევიზიით უჩვენებენ ფილმებს „იყო შაშვი მგალობელი“, „დიდი მწვანე ველი“ და „როცა აყვავდა ნუში“.

Მ. ᲔᲡᲔᲜᲑᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 13 მარტი. (საკდესი). თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ესენბელმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჰ. კისინჯერთან აქ გამართული მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ კვიპროსის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა კვიპროსის ბერძენთა და თურქთა თემების მოლაპარაკება. თუ ამ მოლაპარაკებაზე, თქვა მან, მიაღწევენ დამაკმაყოფილებელ შედეგს, მაშინ მოლაპარაკებაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თურქეთმა და საბერძნეთმა.

თურქეთის მინისტრმა კატეგორიულად გაიღაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ „ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებმა ან უშიშროების საბჭოს წევრებმა“, აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ კვიპროსში ჩავიდეს უშიშროების საბჭოს მისია კუნძულის მდგომარეობის გასაცნობად.

მ. ესენბელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კვიპროსის პრობლემის მოწესრიგების პერსპექტივების შესახებ ისეთივე აზრისაა, როგორც თურქეთის მთავრობის წარმომადგენლები.

ᲛᲔᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲗ ᲜᲘᲜᲐᲒᲑᲔᲑᲘ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ სინგაპურის გაზეთი „სტრეიტს ტაიმსი“ იუწყება, პაპუა-ახალ გვინეაში აქტიური კამპანია მიმდინარეობს ნიანგების გადასარჩენად.

ჩვენს პლანეტაზე ნიანგების გადაშენება საოცრად სწრაფი ტემპით ხდება: ნიანგის 23 სახეობიდან 15 სრული გადაშენების პირზეა მისული. ეს ცხოველები ითვლებიან ავსტრალიაში, სულ უფრო შეცირდება მათი რიცხვი აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. მათი კლვადობის მთავარი მიზეზია ნიანგის ტყავისათვის მათზე უკონტროლო ნადირობა.

ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის ამასწინანდელ სხდომაზე მეცნიერებმა მიიღეს პაპუა-ახალი გვინეის დელეგაციების რეზოლუციის პროექტი, რომლის თანახმად ნიანგები გამოცხადებულია იმ ქვეყნების ეროვნულ სიმდიდრედ, სადაც ისინი ბინადრობენ. შემუშავდა გეგმა, რომელიც ზღუდავს ნიანგებზე ნადირობას. იგი, კერძოდ, ითვალისწინებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, დასავლეთ და სამხრეთ აფრიკაში ბინადარი ნიანგების დაანგარიშებას, ამ სახეობის ნიანგების დაცვას, რომლებიც „გადაშენების პირას არიან მისული, ცხოველის ჩვენების შესწავლას, სპეციალური ნაკრძალების შექმნას.

Მ. ᲔᲡᲔᲜᲑᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 13 მარტი. (საკდესი). თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ესენბელმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჰ. კისინჯერთან აქ გამართული მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ კვიპროსის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა კვიპროსის ბერძენთა და თურქთა თემების მოლაპარაკება. თუ ამ მოლაპარაკებაზე, თქვა მან, მიაღწევენ დამაკმაყოფილებელ შედეგს, მაშინ მოლაპარაკებაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თურქეთმა და საბერძნეთმა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 12 მარტი. (საკდესი). კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მონაწილეობით კინოსტუდია „მოსფილმში“ გადაღებული ფერადი კინოკომედიის „არ დაიდარდოს“ ჩვენებით დაიწყო დასავლეთ გერმანიის ტელევიზიამ საქართველოს სს რესპუბლიკის კინოხელოვნების ფესტივალი.

ტელემაყურებლებმა ნახეს აგრეთვე დიდი დოკუმენტური კინონარკვევი ქართული კინემატოგრაფიის განვითარების შესახებ. ნარკვევის ავტორებმა დაწვრილებით გააშუქეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საქმიანობა, რეჟისორებისა და მსახიობების მომზადება რესპუბლიკაში, მუშაობა ახალ ფილმებზე.

ტელევიზიით უჩვენებენ ფილმებს „იყო შაშვი მგალობელი“, „დიდი მწვანე ველი“ და „როცა აყვავდა ნუში“.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ... ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲒᲘᲜᲔᲑᲡ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲐᲗᲔᲜᲘ. აქ ჩამოვიდა კვიპროსში მიმავალი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია მისი გენერალური მდივნის რ. ჩანდრას მეთაურობით.

ეუონალისტებისათვის გაკეთებულ განცხადებაში რ. ჩანდრამ ხაზი გაუსვა, რომ კვიპროსელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტების მიღწევისათვის.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. აქ 83 წლის ასაკში გარდაიცვალა ბელგიის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ბელგიის მშვიდობის დაცვის კავშირის თავმჯდომარე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი იზაბელა ბლუმი.

ᲝᲢᲐᲕᲐ. აქ კანადის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა საბჭოთა წიგნის გამოფენა.

გამოფენის ექსპონატებს შორის არის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური, მეცნიერულ-პოლიტიკური, მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ცნობარები, საბავშვო წიგნები, მხატვრული ალბომები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი წიგნები გამოცემულია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე, აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 87 ათასზე მეტ კაცს უსჯიან ყოველწლიურად სამხრეთ აფრიკის რასისტული სასამართლოები სხეულებრივ სასჯელს, რომელსაც მხოლოდ აფრიკელებსა და სხვა ფერადკანიანებს უფარდებენ სხვადასხვა წვრილმანი დარღვევისათვის.

ᲙᲘᲜᲝ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲧᲐᲑᲐᲚᲐᲮᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲖᲔ

ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ხალხის ეროვნული გმირის — მამაცი გლეხის ხაჯარათ კიახბას სახელი ლეგენდად არის ქცეული, მასზე შექმნილია სიმღერები. აფხაზეთის სახალხო პოემა ბაგრატ შინკუბას დაწერა ხაჯარათ კიახბასადმი მიძღვნილი რომანი ლეკსად „კლდის სიმღერა“.

ამჟამად ბ. შინკუბას რომანმა ახალი ცხოვრება ჰპოვა. მის მოტივებზე ავტორის მიერვე დაწერილი სცენარით შექმნილია ფართოფორმატიანი ფერადი მხატვრული ფილმი „თეთრი ყაბალახი“, რომელიც დადგა კიევის ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიამ.

ამ დღეებში სოხუმის კინოთეატრ „აფსნში“ გაიმართა ფილმის პრემიერა. ფილმის ჩვენების წინ მოეწყო მაყურებელთა შეხვედრა მის შემქმნელებთან.

ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიის დირექტორმა ა. პუტინცევმა აღნიშნა ის სიხარული, რომელიც გადამღებმა ჯგუფმა განიცადა აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლებთან შეხვედრით. მან დიდი მადლობა გამოთქვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მისამართით, რომელმაც ფილმის დამდგმელებს დახმარება გაუწია ორგანიზაციულ საქმეში — გადაღებებში მონაწილეობდა „ქართული ფილმის“ საცხენოსნო-სპორტული ჯგუფი მ. ხოჯაევის ხელმძღვანელობით.

კინორეჟისორ მ. ა. საველიევმა ილაპარაკა იმ სიძნელეებზე, რომლებიც წარმატებით იქნა დაძლეული, რათა შექმნილიყო კინოფილმი აფხაზეთის რევოლუციურ წარსულზე. მან თქვა, რომ ადგილებზე მსახიობები გრძნობენენ ყოველდღიურ ყურადღებასა და დახმარებას, როგორც მოსახლეობის, ისე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ.

მაყურებელთა სახელით გამოვიდა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ს. ქეცბა.

შემდეგ აჩვენეს კინოფილმი „თეთრი ყაბალახი“, რომელიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ფილმში უკრაინელ კინოოსტატებთან ერთად მონაწილეობენ სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი ვ. კოკოსკერია (ხაჯარათ კიახბა), ლ. კასლანინა, ნ. კამკია, ვ. კოღონია, ს. პაჭკორია, ლ. ავიაბა, რ. ჯოფუა, დ. კორტავა, ვ. კოკვე, ვ. აბლოთია, სოხუმის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე ი. გუმბა (კუკარსა) და სხვები, კომბინირებულ გადაღებებს ხელმძღვანელობდა რეჟისორი მ. მარხოლია.

კინოფილმი საინტერესოდ და სიმართლით ასახავს აფხაზეთის ხალხის რევოლუციურ წარსულს, მის ყოფას, ადათებს, აფხაზ, ქართველ, რუს და სხვა ერების წარმომადგენელთა შემართებას — შეურიგებლად ებრძოლათ უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ.

ფილმი სულ მალე უნდა გამოვიდეს საკავშირო ეკრანზე. ამასთან იგი ჩაჩვენები იქნება საკავშირო კინოფესტივალზე კინშინოვში.

Ი. ᲒᲝᲑᲔᲩᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კადრები კინოფილმიდან „თეთრი ყაბალახი“.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲠᲔᲙᲚᲘᲛᲘᲗ

ᲓᲐᲔ, ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲜ!

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲗ სარწმუნოდ არის დამტკიცებული, რომ ჩვენს საუკუნეში მამაკაცთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ნაკლებია, ვიდრე ქალებისა და ამას, კერძოდ, ხელს უწყობს სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება, თამბაქოს წევა, ნაკლებად მოძრავი ცხოვრება.

მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომელსაც აშკარად ჯერეზნად არ აფასებენ: **ზედმეტი ᲭᲐᲛᲐ.**

საუკუნეობით ისე დაწესდა, რომ საქმელს, როგორც წესი, ქალები ამზადებენ, მამაკაცები კი, ზოგჯერ რომ ზრუნავენ სურსათის ყიდვაზე, მას მზამზარეულს იღებენ. ამასთან ქალები, კვლავ სხვადასხვა მიზეზით, ჩვეულებრივად შედარებით ნაკლები რაოდენობით იღებენ საქმელს, ვიდრე მამაკაცები. აქ ალბათ თავს იჩენს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის სურვილი მისცენ უფრო გემრიელი ნაჭერი ქმარს, შვილებს, აგრეთვე ის, რომ დიასახლისი, საქმლის დამზადებისას სინჯავს ყველა კერძს და განსაზღვრული ზომით კარგავს მადას.

მამაკაცების ზედმეტ ᲭᲐᲛᲐᲡ საკმაოდ უწყობს ხელს აგრეთვე ჩვენი სადილის წინ გადაკრული ერთი-ორი ჭიქა არაყი. ეს თავდაპირველად აძლიერებს მადას და ხელს უწყობს საქმლის მიღებას ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება ენერგეტიკულ დანაკარგებს. ᲭᲐᲠᲑᲝ საქმელი ცხიმად გროვდება, იღრეკვება ცვლის პროცესები, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს ორგანიზმის ნაადრევ გაცვეთას.

სავსებით ნორმალური და ფიზიოლოგიურად დასაბუთებულია მიდრეკილება მრავალფეროვანი და გემრიელი საქმლისადმი. მაგრამ ამან არ უნდა გაგვიტაცოს, უნდა ვჭამდეთ ზომიერად. ეს განსაკუთრებით ეხება იმათ, ვინც 45 წელს გადასცდა, როცა ცვლის პროცესები შენელებულია, ენერგიის ხარჯვა მცირდება, დალევისა და გემრიელად ᲭᲐᲛᲘᲡ შესაძლებლობანი და ცდუნება კი მეტია.

მე მიმაჩნია, რომ მამაკაცები ნაკლებ ᲭᲐᲛᲐᲡ დაიწყებენ, თუ თვითონ შეუდგებიან საქმლის დამზადებას, და არა მარტო თავისთვის, არამედ მთელი ოჯახისთვისაც.

ვფიქრობ, რომ ჩემი რჩევა ხელს შეუწყობს მამაკაცთა სიცოცხლის განგრძლივებას.

Ნ. ᲙᲣᲞᲐᲠᲘᲜᲘ,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲠᲑᲝᲚᲐ

ᲐᲮᲚᲐ უკვე ნათელია, რომ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონის ოქროს მედლების ბედი წყლს პრაქტიკულად გადაწყდება ლენინგრადის „სპარტაკსა“ და ცსკა-ს შორის. ორივე კოლექტივს ძალზე ძლიერი შემადგენლობა ᲰᲧᲐᲕᲡ — მათი კალათბურთელები სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ.

ამიტომ არის, რომ სპარტაკელებიც და არმიელებიც მატჩს მატჩზე იგებენ და დამაჯერებლად მიიწევენ ფინიშისაკენ. ლიდერებს 30-30 შეხვედრა აქვთ ჩატარებული: ლენინგრადელებმა მოაგროვეს 26 ქულა, მოსკოველებმა — 24. ახლა დიდ ინტერესს იწვევს ამ ორი გუნდის შეხვედრა ერთმანეთთან, რომელიც გაიმართება 31 მარტსა და 1 აპრილს ნეფისპერელთა ქალაქში.

22 ქულით მესამე ადგილზეა მოსკოვის „დინამო“, რომელმაც ბოლო ტურში განმეორებით მატჩშიც მოუგო ვილნიუსის „სტატიბას“ — 79:68.

თბილისის „დინამო“ წარუმატებლად ატარებს უკანასკნელ მატჩებს და ახლა მეოთხე ადგილზე იმყოფება — 18 მოგება, 12 წაგება.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲪᲘᲒᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ალმა-ათის მახლობლად „მედეოს“ საციგურაოზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებზე ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ტატიანა ავერინამ, რომელმაც შეჯიბრების უკანასკნელ დღეს 1000-მეტრიან დისტანციაზე და მრავალჭიდში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა — შესაბამისად 1.26, 12 და 176,930 ქულა. ახლა ტ. ავერინა მსოფლიოს ოთხი რეკორდის მფლობელია.

ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ. საერთაშორისო ტურნირზე ესპანეთის ქალაქ ოლოტში საბჭოთა მოჭადრაკემ, საერთაშორისო ოსტატმა ოლეგ რომანიშინმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა. ბოლო ტურში მან მოუგო ესპანელ ხ. ხურადოს. მომდევნო ადგილებზე არიან ვ. შმიდტი (პოლონეთი), მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) და ხ. ბელონი (სპანეთი) — 2,5 ქულა თვითეულს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. ვოლგოგრადში დამთავრდა პროფკავშირთა გუნდების საკავშირო ტურნირი. პირველობა მოიპოვა ვოლგოგრადის „სპარტაკმა“, მეორე ადგილზეა ლენინგრადის „ბალტიკა“, მესამეზე — მინსკის სკიფ-ი.

ᲑᲘᲚᲐᲚᲬᲜᲝ. სვეიდლოვსკში მიმდინარეობს საკავშირო ჩემპიონატი. უკვე გაიმართა 20-კილომეტრიანი რბოლა სროლით, რომელიც მოიგო მოსკოვის დინამოელმა ა. სელიფანოვმა. მსოფლიოს უძლიერესი ᲑᲘᲐᲚᲬᲚᲝᲜᲘᲡᲢᲘ ა. ტიხონოვი (ნოვოსიბირსკის „დინამო“) მეორე ადგილზეა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. ინგლისის ნაკრებმა ლონდონში „უემბლის“ სახელგანთქმულ სტადიონზე ამხანაგურ მატჩში დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი — გფრ-ის გუნდი — 2:0 (1:0). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ბიოლმა და მაკდონალდმა. ინგლისელთა მწვრთნელმა დონ რივიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ეს იყო მისი გუნდის საუკეთესო თამაში მას შემდეგ, რაც იგი სათავეში ჩაუდგა ნაკრებს.

სსრ კავშირის ფეხბურთის სამმართველომ დაამთავრა გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადასვლების განხილვა. გადასვლებზე ნება მიეცა 68 ფეხბურთელს, მათ შორის 37 უმაღლეს ლიგაში და 31 — პირველ ლიგაში. ევროპის თასებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით კიევის „დინამოში“ თამაშის უფლება მიეცათ ა. კონკოვს (დონეცკის „შახტიორი“) და ხ. კუზნეცოვს (ვორონეჟოვგრადის „ზარია“); ოდესის „ჩერნომორეცში“ ითამაშებს Თ. ნიდა (დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“) და ნ. მიხაილოვი (კიშინიოვის „ნისტრუ“).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲤᲘᲠᲐᲟᲘ

12 ᲛᲐᲠᲢᲘ მოსკოვში გამართული „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის ტირაჟის შედეგები:

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“ — 18 (რიგა-ფელა), 25 (თბილისურები — ტრამპლინი), 36 (სლალომი), 2 (ავტოსპორტი), 46 (ᲰᲝᲙᲔᲘ), 1 (ავიასპორტი);

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ-2“—18 (რიგა-ფელა), 45 (ფეხბურთი), 32 (ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲮᲢᲝᲛᲐ), 33 (რეგბი), 34 (ხელბურთი), 31 (ცურვა). (საკდესი).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ

ᲒᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

□ 17 ᲛᲐᲠᲢᲘ

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ქალის საერთაშორისო წელი — კინონარკვევი, — გამარჯობა „როვესნიკ“, 18.30 — რესპუბლიკის ახალი ამბები — (რუსულ ენაზე), 18.55 — „მომხმარებელი“ — (რუსულ ენაზე), 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ), 21.30 — „საუხტრადო სუვენირები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — ფრანგული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „განკიცხულნი“. I სერია. პრემიერა (ვიდეოჩანაწერი), დასასრული — ახალი ამბები.

□ 18 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო ფილმი „კარელიაში“, 11.00 — ფერადი ტელევიზია — ფრანგული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „განკიცხულნი“ (I სერია), 12.05 — „ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ“ — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ე. გოგოლევა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საყვარელი როლი“, 16.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 17.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინო